სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება № 01-06-02/34

ქ. თბილისი 21 ივნისი 2023

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თვითდაფინანსებაზე მყოფი ცენტრების გაუქმების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2023 წლის 16 მაისის №01-05-04/61 დადგენილების, 2023 წლის 6 ივნისის №01-05-04/88 დადგენილებისა და სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2023 წლის 21 ივნისის №01-06-02/05 ოქმის საფუძველზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:**

1. გაუქმდეს სსიპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან არსებული თვითდაფინანსების პრინციპით მოქმედი „საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი“;
2. გაუქმდეს სსიპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერინგის ფაკულტეტთან არსებული თვითდაფინანსების პრინციპით მოქმედი შემდეგი ცენტრები:
   - უმაღლესი სკოლის გრაფიკული დისციპლინის მასწავლებელთა მომზადების ცენტრი;
   - საინჟინრო და გადამამუშავებელი ტექნოლოგიების სასწავლო ცენტრი;
   - ინტელექტუალური სენსორების კვლევითი ცენტრი.
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12კმ, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი **ჯემალ გახოკიძე**